

# შ.პ.ს. „ქართლი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო  
წლისთვის

## სარჩევი

|                                                                      |    |
|----------------------------------------------------------------------|----|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....                              | 4  |
| მოგებისა და ზარალის ანგარიშგება.....                                 | 5  |
| საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....                      | 6  |
| ფულადი ნაკადების ანგარიშგება .....                                   | 7  |
| 1. ზოგადი ინფორმაცია .....                                           | 8  |
| 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი .....                 | 9  |
| 3. ფუნქციონირებადი საწარმო.....                                      | 9  |
| 4. მსს ფასს-ზე გადასვლა.....                                         | 10 |
| 5. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა.....                                 | 10 |
| 6. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება .....                      | 11 |
| 7. სააღრიცხვო პოლიტიკა.....                                          | 11 |
| 7. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები..... | 20 |
| 8. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები .....           | 22 |
| 9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი სავაჭრო მოთხოვნები .....             | 22 |
| 10. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.....                           | 22 |
| 11. საგადასახადო აქტივები.....                                       | 23 |
| 12. არამატერიალური აქტივები.....                                     | 23 |
| 13. საინვესტიციო ქონება .....                                        | 24 |
| 14. ძირითადი საშუალებები.....                                        | 25 |
| 15. სესხები.....                                                     | 26 |
| 16. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები.....                  | 27 |
| 17. საგადასახადო ვალდებულებები.....                                  | 27 |
| 18. საწესდებო კაპიტალი.....                                          | 27 |
| 19. ამონაგები .....                                                  | 28 |
| 20. სხვა შემოსავლები.....                                            | 28 |
| 21. გაყიდული საქონლის თვითღირებულება .....                           | 28 |
| 22. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი .....                            | 29 |
| 23. ფინანსური ხარჯი .....                                            | 29 |

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას განმარტებით  
შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ  
ნაწილს და მოცემულია 8-31 გვერდზე

|                                                         |    |
|---------------------------------------------------------|----|
| 24. მოგების გადასახადის ხარჯი .....                     | 29 |
| 25. სხვა არასაოპერაციო ხარჯი .....                      | 30 |
| 26. დირექტორსა და თანამშრომლებზე გაცემული ხელფასი ..... | 30 |
| 27. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ .....       | 30 |

|                                            | Note | 31-12-19         | 31-12-18         | 31-12-17         |
|--------------------------------------------|------|------------------|------------------|------------------|
| <b>ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება</b>  |      |                  |                  |                  |
| <b>აქტივები</b>                            |      |                  |                  |                  |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>               |      |                  |                  |                  |
| ძირითადი საშუალებები                       | 14   | 72,019           | 78,862           | 535,234          |
| საინვესტიციო ქონება                        | 13   | 1,217,835        | 610,892          | -                |
| არამატერიალური აქტივი                      | 12   | 376              | 428              | 480              |
| ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში           |      | -                | -                | -                |
|                                            |      | <b>1,290,230</b> | <b>690,182</b>   | <b>535,714</b>   |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>               |      |                  |                  |                  |
| ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები | 8    | 222,701          | 262,059          | 68,512           |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები    | 9    | 690,338          | 543,409          | 96,758           |
| მარაგები                                   | 10   | 14,888           | -                | 385,194          |
| საგადასახადო აქტივები                      | 11   | 2,703            | 1,958            | 19,495           |
|                                            |      | <b>930,630</b>   | <b>807,426</b>   | <b>569,959</b>   |
| <b>მთლიანი აქტივები</b>                    |      | <b>2,220,860</b> | <b>1,497,608</b> | <b>1,105,673</b> |
| <b>მთლიანი კაპიტალი</b>                    |      |                  |                  |                  |
| საწესდებო კაპიტალი                         | 18   | 4,000            | 4,000            | 4,000            |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)  |      | 152,025          | (4,742)          | 168,062          |
| გადაფასების რეზერვი                        |      | 829,021          | 563,078          | 455,711          |
|                                            |      | <b>985,046</b>   | <b>562,336</b>   | <b>627,773</b>   |
| <b>ვალდებულებები</b>                       |      |                  |                  |                  |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>          |      |                  |                  |                  |
| გრძელვადიანი სესხები                       | 15   | 515,687          | 275,536          | -                |
|                                            |      | <b>515,687</b>   | <b>275,536</b>   | <b>0</b>         |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>          |      |                  |                  |                  |
| მოკლევადიანი სესხები                       | 15   | 710,195          | 649,784          | 66,900           |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები | 16   | 4,130            | 3,903            | 409,613          |
| საგადასახადო ვალდებულებები                 | 17   | 5,802            | 6,049            | 1,387            |
|                                            |      | <b>720,127</b>   | <b>659,736</b>   | <b>477,900</b>   |
| <b>მთლიანი ვალდებულებები</b>               |      | <b>1,235,814</b> | <b>935,272</b>   | <b>477,900</b>   |
| <b>მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები</b>   |      | <b>2,220,860</b> | <b>1,497,608</b> | <b>1,105,673</b> |

დირექტორი

/ომარ ჩიტია/

ბუღალტერი

/ლელა ბაიდაური/

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას განმარტებით  
შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ  
ნაწილს და მოცემულია 8-31 გვერდზე

|                                                                           | Note | 12/31/2019     | 12/31/2018       |
|---------------------------------------------------------------------------|------|----------------|------------------|
| <b>მოგებისა და ზარალის ანგარიშგება</b>                                    |      |                |                  |
| ამონაგები                                                                 | 19   | 7,782,719      | 9,309,016        |
| თვითღირებულება                                                            | 21   | (7,693,598)    | (8,984,606)      |
| <b>საერთო მოგება</b>                                                      |      | <b>89,121</b>  | <b>324,410</b>   |
| სხვა შემოსავლები                                                          | 20   | 211,776        | 47,176           |
| ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი                                            | 22   | (59,554)       | (200,853)        |
| მიწოდების დანახარჯები                                                     |      | -              | -                |
| სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა                                       | 20   | 6,633          | 533              |
| სხვა ხარჯები                                                              |      | -              | -                |
|                                                                           |      | -              | -                |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                                                  |      | <b>247,976</b> | <b>171,266</b>   |
| საპროცენტო ხარჯი                                                          | 23   | (73,519)       | (39,171)         |
| ფინანსური ხარჯი (არასაოპერაციო)                                           | 25   | (17,690)       | (26,262)         |
| ფინანსური ხარჯი - წმინდა                                                  |      | (91,209)       | (65,433)         |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>                                                 |      | <b>156,767</b> | <b>105,833</b>   |
| მოგების გადასახადი                                                        | 24   | -              | (41,795)         |
| <b>პერიოდის მოგება</b>                                                    |      | <b>156,767</b> | <b>64,038.00</b> |
| <b>სხვა სრული შემოსავალი:</b>                                             |      |                |                  |
| შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან,<br>გადასახადების გამოკლებით |      | 265,943        | 107,367          |
| <b>პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი</b>                                  |      | <b>422,710</b> | <b>171,405</b>   |

დირექტორი

/ომარ ჩიტია/

ბუღალტერი

/ლელა ბაიდაური/

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას განმარტებით  
შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ  
ნაწილს და მოცემულია 8-31 გვერდზე

საკუთარი კაპიტალის  
ცვლილებების ანგარიშგება

|                               | საწესდებო<br>კაპიტალი<br>Share Capital<br>and Share<br>Premium | გადაფასების<br>რეზერვი<br>Revaluation<br>Surplus | გაუნაწილებელი<br>მოგება<br>Retained<br>Earnings | მთლიანი<br>კაპიტალი<br>Total Equity |
|-------------------------------|----------------------------------------------------------------|--------------------------------------------------|-------------------------------------------------|-------------------------------------|
| <b>2017 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>4,000</b>                                                   | <b>455,711</b>                                   | <b>168,062</b>                                  | <b>627,773</b>                      |
| მოგება წლის ბოლოს             | -                                                              |                                                  | 64,038                                          | <b>64,038</b>                       |
| სხვა სრული შემოსავალი         | -                                                              | 107,367                                          |                                                 | <b>107,367</b>                      |
| პერიოდის სრული შემოსავალი     | -                                                              | 107,367                                          | 64,038                                          | <b>171,405</b>                      |
| გაცემული დივიდენდი            | -                                                              | -                                                | (236,842)                                       | <b>(236,842)</b>                    |
| <b>2018 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>4,000</b>                                                   | <b>563,078</b>                                   | <b>(4,742)</b>                                  | <b>562,336</b>                      |
| მოგება წლის ბოლოს             | -                                                              | -                                                | 156,767                                         | <b>156,767</b>                      |
| სხვა სრული შემოსავალი         | -                                                              | 265,943                                          | -                                               | <b>265,943</b>                      |
| პერიოდის სრული შემოსავალი     | -                                                              | 265,943                                          | 156,767                                         | <b>422,710</b>                      |
| გაცემული დივიდენდი            | -                                                              | -                                                | -                                               | -                                   |
| აქციების გამოშვება            | -                                                              | -                                                | -                                               | -                                   |
| <b>2019 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>4,000</b>                                                   | <b>829,021</b>                                   | <b>152,025</b>                                  | <b>985,046</b>                      |

დირექტორი

/ომარ ჩიტია/

ბუღალტერი

/ლელა ბაიდაური/

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას განმარტებით  
შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ  
ნაწილს და მოცემულია 8-31 გვერდზე

|                                                                  |                  |
|------------------------------------------------------------------|------------------|
|                                                                  | 31-12-19         |
| <b>ფულადი ნაკადების ანგარიშგება</b>                              |                  |
| <b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>                  |                  |
| - მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები                     | 8,800,208        |
| - მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები                         | (8,579,610)      |
| - გადახდილი ხელფასები                                            | (6,900)          |
| - გადახდილი გადასახადები                                         | (52,950)         |
| - საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გადახდები         | (69,905)         |
| <b>წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>           | <b>90,843</b>    |
| <b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>                |                  |
| - ძირითადი საშუალებების შეძენა                                   | (344,780)        |
| - ძირითადი საშუალებების გაყიდვა                                  | -                |
| - მიღებული დივიდენდი                                             | -                |
| <b>წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>         | <b>(344,780)</b> |
| <b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>                   |                  |
| - სესხის აღება                                                   | 6,115,660        |
| - სესხის დაფარვა                                                 | (5,817,578)      |
| - გადახდილი პროცენტები                                           | (73,519)         |
| - გადახდილი დივიდენდები                                          | -                |
| <b>ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან</b>    | <b>224,563</b>   |
| <b>ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)</b> | <b>(9984)</b>    |
| <b>ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი</b>                            | <b>(39,358)</b>  |
| <b>ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:</b> | <b>262,059</b>   |
| <b>ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:</b>      | <b>222,701</b>   |

დირექტორი

/ომარ ჩიტია/

ბუღალტერი

/ლელა ბაიდაური/

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას განმარტებით  
შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების განუყოფელ  
ნაწილს და მოცემულია 8-31 გვერდზე

## სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

### 1. ზოგადი ინფორმაცია

შ.პ.ს. „ქართლი“ (შემდგომში „კომპანია“) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რომელიც დაფუძნებულია „საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ“ მე-2 მუხლის შესაბამისად 1996 წლის 1 ივლისს.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია საქართველო, თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, დაბა ზაპესი.

კომპანიის ფაქტიური მისამართია: საქართველო, თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, დაბა ზაპესი.

კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდი : 236037285.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საქართველოში საწვავის (ბენზინი და დიზელი) საბითუმო რეალიზაცია სპეციალიზირებულ მაღაზიებში (აგს-ში), ასევე საკუთარი ან იჯარით აღებული არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა.

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის კომპანიას არ გააჩნია შვილობილი კომპანიები. კომპანიის 100% წილი გადანაწილებულია ოთხ ფიზიკურ პირზე შემდეგი წილობრივი მონაწილეობით:

- ზურაბი ყიფშიძე -20%;
- გიორგი კელეპტრიშვილი- 20%;
- ომარ ჩიტია - 20%;
- დავით მამუჩიშვილი -40%;

კომპანიის დირექტორია ომარ ჩიტია (პ/ნ 01001084325) (2020 წლის 12 ივნისიდან)

კომპანიის წილის მფლობელთა ცვლილება განხორციელდა 2016 წლის 17 ივნისის , როდესაც გაიყიდა კომპანიის 100%-იანი წილი, მას შემდეგ კომპანიის მფლობელთა ცვლილება არ მომხდარა.

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია 8-31 გვერდზე

## საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი როგორც ეკონომიკური, ასევე ფინანსური ბაზრის ფაქტორები, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებადი ბაზრისათვის. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები მუდმივად განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი ექვემდებარებიან განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებას, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისათვის წარმოქმნის გარკვეულ გამოწვევებს და ბარიერებს.

## 2.ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. ეს არის კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პირველი სრული ნაკრები (2018 წლის ფინანსური ანგარიშგების შედგენისას საწარმოს მიერ გამოყენებული იქნა საქართველოში მოქმედი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონით დაწესებული შეღავათი, რომლის საფუძველზეც არ წარადგენს შესადარისი პერიოდის ინფორმაციასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას).

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული და დამტკიცებული იქნა 2020 წლის 28 სექტემბერს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდია კალენდარული წელი 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

## 3.ფუნქციონირებადი საწარმო

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით, რაც გულისხმობს საქმიანობის განხორციელებას რეგულარულად აქტივების მიწოდებისა და ვალდებულებების თანმიმდევრული შესრულების გზით.

*ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია 8-31 გვერდზე*

კომპანია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომგებიანია, ასევე მომგებიანი იყო წარსულში საქმიანობა. საწარმოს მიმდინარე პერიოდში გააჩნია ის რესურსი, რომელთაც ხელმძღვანელობა იღებს გადაწყვეტილებას საწარმოს ფუნქციონირებადობისა და მომავალში საქმიანობის გაგრძელების შესახებ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე არსებობს სამი კრიტერიუმი, რომელიც განსაზღვრავს კომპანიის ფუნქციონირებადობას:

1. კომპანია ისევე როგორც წინა საანგარიშგებო პერიოდებში, მიმდინარე 2019 წელს არის მომგებიანი;
2. კომპანიას ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისას მიღებული აქვს ფულადი სახსრები, რომლითაც იგი შეძლებს მომავალში საქმიანობის განხორციელებას.
3. მიმდინარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური საწარმოს დაშვების პრინციპით. საწარმო მომავალში შეინარჩუნებს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსს და შეძლებს არსებული აქტივების დროულ რეალიზაციას და ვალდებულების დაფარვას.

#### 4.მსს ფასს-ზე გადასვლა

კომპანიისათვის მსს ფასის 35-ე მოდულის შესაბამისად სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი.

კომპანიას გასულ საანგარიშგებო პერიოდებში წარდგენილი აქვს 2018 საანგარიშგებო წლის ფინანსური ანგარიშგება.

#### 5.სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

ვინაიდან კომპანია ეკონომიკურ საქმიანობას ეწევა საქართველოს ტერიტორიაზე სამუშაო ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა ქართული ლარი („ლარი“ „GEL“), რომელიც ასახავს შესაბამისი მოვლენებისა და ვითარებების უმეტესობის ეკონომიკურ არსს. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენისათვის ასევე გამოყენებულია საქართველოს ეროვნული ვალუტა ლარი. ფინანსურ ანგარიშგებაში ფინანსური მაჩვენებლები წარმოდგენილია დამრგვალების გარეშე.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი ელემენტი (აქტივები/ვალდებულებები) გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია 8-31 გვერდზე

წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა და უცხოური ვალუტის კონვერტაციით მიღებული მოგება და ზარალი აღიარდება როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, რაც იმაზეა დამოკიდებული, უცხოური ვალუტის მოძრაობები მოგების პოზიციაშია თუ ზარალის და აისახება მოგება და ზარალის ანგარიშგებაში.

| საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურში |            |        |
|-------------------------------------------------------|------------|--------|
|                                                       | აშშ დოლარი | ევრო   |
| კურსი 31.12.2019                                      | 2.8677     | 3.2095 |
| კურსი 31.12.2018                                      | 2.6766     | 3.0701 |

## 6. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-თან შესაბამისობაში, რაც ხელმძღვანელობისგან მოითხოვს ისეთი მსჯელობების, შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკასა და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების თანხის ოდენობაზე. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ზემოთ აღნიშნული შეფასებებისგან.

შეფასებები და ძირითადი დაშვებები გადაიხედება მუდმივად. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, რომელ პერიოდშიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზეც მათ ექნებათ გავლენა.

## 7. სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა. სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია საწარმოს შიდა სტანდარტების გათვალისწინებით.

### საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 1997 წლის მარტის თვეში განისაზღვრა და შეადგენს 4000 ლარს, საწესდებო კაპიტალში აღნიშნული ღირებულებით შეტანილი იქნა უძრავი ქონება, რომელიც ამჟამად კომპანიის საკუთრებაა.

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია 8-31 გვერდზე

## ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაყვანილია კომპანიის სამუშაო ვალუტაში, ოპერაციის განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის შესაბამისად. ანგარიშგების თარიღისათვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლების გადაყვანა ხდება იმ ოპერაციის თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით, რის შედეგადაც მოხდა მათი აღიარება, ხოლო რეალური ღირებულებით განსაზღვრული არაფულადი მუხლები გადაყვანა ხდება რეალური ღირებულების დადგენის თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით და გადაფასებით წარმოშობილი სხვაობა აღიარდება შესაბამისი პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

## ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღიარებისას იყენებს თვითღირებულების მოდელს. ძირითადი საშუალების ერთეულის ღირებულება მოიცავს შეძენის ღირებულებას, რომელსაც ემატება ტრანსპორტირებისა და ექსპლუატაციაში შესვლისათვის საჭირო აუცილებელი დანახარჯები. ძირითადი საშუალებები აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით, რომელსაც აკლდება ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ცვეთის დაანგარიშებისათვის კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს, რომელიც გულისხმობს ცვეთის დარიცხვას სავარაუდო სასარგებლო მომსახურების თვეების პროპორციულად. ძირითადი საშუალებები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან. ცვეთის თანხა აღიარდება ადმინისტრაციულ ხარჯებში, რომელიც თავისთავად თავს იყრის მოგება-ზარალის უწყისში. კომპანიას ძირითად საშუალებებზე არ აქვს გაანგარიშებული სალიკვიდაციო ღირებულება, ვინაიდან საწარმოს ხელმძღვანელობის მხრიდან არ ხდება დაშვება, რომ მომავალში აღნიშნული ძირითადი საშუალება გაიყიდება.

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები პერიოდულად გადაიხედება კომპანიის ხელმძღვანელობის მხრიდან, თითოეული საანგარიშგებო თარიღისათვის და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება.

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია 8-31 გვერდზე

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად კომპანიის მხრიდან გამოიყენება შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადები (წლები):

| ძირითადი საშუალებების ჯგუფი | სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი) |
|-----------------------------|-------------------------------------|
| ოფისის აღჭურვილობა          | 5                                   |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი     | 2-10                                |

ძირითადი საშუალების განახლება-შეკეთებისათვის გადახდილი თანხები, რომლებიც გაწეულია ძირითადი საშუალებების მიმდინარე რემონტის ფარგლებში კომპანიის მხრიდან აღიარდება მიმდინარე ხარჯად მოგება/ზარალის ანგარიშგებაში, ხოლო ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლება /მშენებლობასთან კაპიტალიზირდება, ჩანაცვლებული ნაწილი კი ჩამოიწერება.

ძირითადი საშუალებების აღიარება წყდება იმ შემთხვევაში თუ მოხდა კონკრეტული ძირითადი საშუალების რეალიზაცია ან შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების გასვლისას სხვაობის გათვალისწინებით განისაზღვრება მოგება ან ზარალი, რომელიც აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი ან სხვა ხარჯი.

### საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონებით ხდება საიჯარო შემოსავლების მიღება და/ან ქონების ფასის ზრდით მოგების მიღება. საინვესტიციო ქონებას წარმოადგენს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთი და მასზე დამაგრებული შემობა- ნაგებობები, რომლებიც თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულების მოდელით. 2016 წლის ივლისის თვეში კომპანიაში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ (დამფუძნებლებისა და დირექტორის ცვლილება), ხელმძღვანელობის მხრიდან შეცვლილი იქნა აღნიშნული მიდგომა და საინვესტიციო ქონების ღირებულების განსაზღვრად გამოიყენება რეალური ღირებულების მოდელი.

სააღრიცხვო პოლიტიკაში შესული ცვლილებების შემდეგ ძირითად საშუალებათ კლასიფიცირებულ უძრავ ქონებას შეეცვალა კლასიფიკაცია (12.10.2018 წელი მოხდა საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იჯარით გადაცემა) და აღიარდა „საინვესტიციო ქონებად“ ქონების გამოყენების ხასიათიდან გამომდინარე. ცვეთის დარიცხვა საინვესტიციო ქონებაზე (ძირითად საშუალებად კლასიფიცირების პერიოდში) ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, ხელმძღვანელობის მიერ დადგენილი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია 8-31 გვერდზე

ვადის პროპორციულად. კლასიფიკაციის ცვლილების შემდეგ საინვესტიციო ქონებაზე ცვეთის დარიცხვა შეწყდა და რეალური ღირებულების დადგენის პერიოდად განისაზღვრა ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლო თარიღი. საბალანსო ღირებულების ნებისმიერი შემცირება აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თუმცა, იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ეს თანხა შევიდა ამავე ქონების გადაფასების ნამეტში, შემცირება აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და შემცირდება გადაფასების ნამეტი საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში. საინვესტიციო ქონების ღირებულების ზრდის ნებისმიერი ზრდა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და გაიზრდება გადაფასების ნამეტი საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში. საინვესტიციო ქონების შემდგომი გასვლის შემთხვევაში, საკუთარ კაპიტალში ასახული გადაფასების შედეგად მიღებული ღირებულების ზრდა პირდაპირ გადატანება გაუნაწილებელ მოგებაში.

### არამატერიალური აქტივები

კომპანიისათვის არამატერიალურ აქტივს წარმოადგენს შეძენილი კომპიუტერული (საბუღალტრო) უზრუნველყოფა, რომელიც აღიარებულია თვითღირებულების მოდელით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია. არამატერიალური აქტივის ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად. სასარგებლო ვადათ ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულია 10 წელი. აქტივის ამორტიზაცია ჩართულია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება თუ მოხდა არამატერიალური აქტივის რეალიზაცია ან შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. არამატერიალური აქტივის გასვლისას სხვაობის გათვალისწინებით განისაზღვრება მოგება ან ზარალი, რომელიც აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი ან სხვა ხარჯი.

### სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები (მარაგები)

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მათ შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანა. გაყიდული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია 8-31 გვერდზე

## აქტივების გაუფასურება

კომპანია გარდა უძრავი ქონებისა სხვა სახის ძირითად საშუალებებზე არ იყენებს გადაფასების მოდელს და ცვეთის დარიცხვა ხდება თავდაპირველი ღირებულებიდან.

ასევე არ ხდება მარაგების გაუფასურებაზე ტესტირება, ვინაიდან მარაგის სპეციფიკაცია არ იძლევა გაუფასურებაზე შეფასების საჭიროებას.

## ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის (ზეპირი ან/და წერილობითი) მონაწილე. ფინანსურ აქტივებში მოიაზრება: ფულადი სახსრები, ფულადი სახსრების ექვივალენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულს საბანკო ანგარიშზე.

კომპანიაში რეალიზაცია ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობით, მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვის გარეშე. სავაჭრო მოთხოვნები კომპანიის მხრიდან თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება არსებული მოთხოვნების (დებიტორული დავალიანების) ანალიზი, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა დადასტურებული ფაქტები იმისა, რომ დებიტორული დავალიანება ვადაგადაცილებული ან ამოუღებელია. ასეთი ფაქტების დადასტურების შემთხვევაში წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით ხდება გაუფასურების ზარალის დაუყოვნებლივ მოგება ან ზარალში აღიარება. თუ შემდგომში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა, კომპანია აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილ გაუფასურების ზარალს ისე რომ იმაზე მეტად არ გაიზარდოს აქტივის საბალანსო ღირებულება ვიდრე იქნებოდა გაუფასურების ზარალის აღიარებამდე.

სხვა მოთხოვნების (გადახდილი ავანსები) აღიარება ხდება გარიგების ფასით, რომელიც თავისი ბუნებიდან გამომდინარე არ გადაფასდება.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას თუ:

(ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;

(ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია 8-31 გვერდზე

(გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

### ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულება განისაზღვრება, როგორც ნებისმიერი ვალდებულება, რომელიც არის:

(ა) საწარმოს სახელშეკრულებო ვალდებულება:

- (i) სხვა საწარმოს გადასცეს ფულადი სახსრები ან სხვა ფინანსური აქტივები; ან
- (ii) პოტენციურად არახელსაყრელი პირობებით სხვა საწარმოს გაუცვალოს ფინანსური აქტივები ან ვალდებულებები.

(ბ) ხელშეკრულება, რომელიც დაიფარება ან შესაძლებელია დაიფაროს საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით და რომლის თანახმად საწარმო გადასცემს ან შესაძლოა იძულებული იყოს გადასცეს ცვლადი რაოდენობის საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტები.

კომპანია ფინანსურ სავაჭრო ვალდებულებას აღიარებს, როდესაც იგი ხდება სახელშეკრულებო (ზეპირი ან/და წერილობითი) ურთიერთობის მონაწილე მხარე. თავდაპირველად ფინანსური ვალდებულება აღიარდება გარიგების ფასით.

საბანკო სასესხო ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯები გაწევის მომენტშივე აღიარდება მოგება ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი და გაწევის მომენტშივე აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი.

კომპანიის მხრიდან ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ: ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

### ამონაგები

კომპანიისათვის ამონაგებს წარმოადგენს საქონლის (საწვავის) საბითუმო მიწოდებით მიღებული შემოსავალი, ასევე საინვესტიციო ქონების იჯარით მიღებული შემოსავალი.

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია 8-31 გვერდზე

ამონაგები აღიარდება როდესაც:

- მოსალოდნელია ამ მუხლით გამოწვეული მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა; და
- შესაძლებელია ამონაგების საიმედოდ შეფასება.

ამონაგების აღიარებისას გაითვალისწინება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადი დღგ.

### დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები გულისხმობს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ.

კომპანიას დაქირავებული პირების წინაშე წარმოეშვება ვალდებულება გადაუხადოს შესაბამისი ანაზღაურება, დაქირავებული პირის მიერ გაწეული შრომითი საქმიანობის სანაცვლოდ. კომპანიას ასევე წარმოეშვება ვალდებულება დაქირავებულ პირებზე გადახდილი ანაზღაურების შესაბამისად მოახდინოს ბიუჯეტში შესაბამისი საშემოსავლო გადასახადის ანგარიშსწორება, რომელიც წარმოადგენს ხელფასის ნაწილს.

კომპანიაში სამუშაო რეჟიმიდან გამომდინარე დასაშვებია დაქირავებული პირების წინაშე გასამრჯელოს გადახდა მოხდეს თვის განმავლობაში რამდენიმე ეტაპად.

კომპანია ასევე უზრუნველყოფს მოქმედი „შრომის უსაფრთხოების კანონის“ შესაბამისად დაქირავებული პირთა დაზღვევას.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები კომპანიის მხრიდან აღიარდება, როგორც ვალდებულება თანამშრომლების წინაშე და ასევე გაწევის საანგარიშგებო თვეს აღიარდება, როგორც ხარჯი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

### ფინანსური შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

კომპანიის ფინანსური შემოსავლები და ხარჯები მოიცავს სესხებზე დარიცხული პროცენტის თანხებს, ასევე ფინანსურ აქტივებზე და ფინანსურ ვალდებულებებზე უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეულ შემოსავლებსა და ხარჯებს.

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია 8-31 გვერდზე

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული სარგებელი ან ზარალი წარმოდგენილია წმინდა ღირებულებით, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, იქიდან გამომდინარე უცხოური ვალუტის მოძრაობით მიღებული შედეგები წმინდა შემოსავალია თუ წმინდა ხარჯი.

კომპანიის მხრიდან ზოგადად ხარჯების აღიარება ხდება როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გადინება. ხარჯები აღიარდება გაწევის მომენტში მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

## საბიუჯეტო გადასახადები

### მოგების გადასახადი

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც, ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და მისი გამოყენება ხდება 2017 წლის 1 იანვრის შემდგომ პერიოდზე ყველა იურიდიული პირისათვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკი, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომელთათვისაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან (მოქმედი სსკ-ს 309-ე მუხლის 94-ე მუხლის შესაბამისად).

მოგების გადასახადი არის სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე წარმოშობილი ვალდებულება, რომელიც კომპანიისათვის წარმოადგენს ხარჯს. მოგების გადასახადის გაანგარიშება და ანგარიშსწორება ხორციელდება მოქმედი საგადასახადო კოდექსის შესაბამისად. 2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია:

- ა) განაწილებული მოგება;
- ბ) გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის;
- გ) უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა;
- დ) ამ კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადის განაკვეთია 15%. მოგების გადასახადით ზემოთ აღნიშნული ოპერაციები იბეგრება იმ საანგარიშგებო თვეში, როდესაც განხორციელდა ეს ოპერაცია.

თუ კომპანია ანაწილებს 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილ გაუნაწილებელ მოგებას, მას უფლება აქვს, ჩაითვალოს ამ პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხა, მაგრამ არაუმეტეს სსკ-ს 98<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტის მიხედვით გადასახდელი თანხისა.

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია 8-31 გვერდზე

#### დამატებული ღირებულების გადასახადი

დამატებული ღირებულების გადასახადი არის მოქმედი საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გადასახადი, რომლის ვალდებულება კომპანიას წარმოეშობა ყოველთვიურად და ბიუჯეტში გადარიცხვას ექვემდებარება საანგარიშგებო თვის დასრულების შემდგომი თვის 15 რიცხვამდე.

კომპანიის მხრიდან ამონაგები და გაწეული ხარჯები აღიარდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე. დღგ-ს განაკვეთი არის 18%.

#### საშემოსავლო გადასახადი

საშემოსავლო გადასახადი ეს არის მოქმედი საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გადასახადი, რომელიც კომპანიისათვის არის ბიუჯეტის წინაშე წარმოშობილი ვალდებულება. ვალდებულება წარმოიშვება, იმ შემთხვევაში თუ ხდება საშემოსავლო გადასახადით დაბეგვარას დაქვემდებარებული ისეთი ოპერაციები, როგორიცაა: ხელფასის გაცემა, დივიდენდის გაცემა, არადაქირავებული ფიზიკური პირების მიერ მომხაურების გაწევა და სხვა. საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი განსხვავდება ოპერაციების მიხედვით, ხელფასის გაცემა იბეგრება 20%, ხოლო დივიდენდის გაცემა 5%.

#### ქონების გადასახადი

ქონების გადასახადის ვალდებულება კომპანიას წარმოეშვება საანგარიშგებო წლის დასრულების შემდეგ, მომდევნო წლის 1 აპრილამდე. ქონების გადასახადის გაანგარიშება ხდება კომპანიის ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებების საშუალო საბალანსო ღირებულებიდან, გადასახადის განაკვეთია 1%. გარდა ძირითადი საშუალებებისა ქონების გადასახადის გადახდა ხდება კომპანიის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, რომლის ტარიფი განსხვავდება ქალაქების, რაიონების და დასახლებული პუნქტების მიხედვით.

ქონების გადასახადი საწარმოსთვის წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯს და აღიარდება საანგარიშგებო წლის ბოლო თარიღით მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე დარიცხული და გადახდილი ქონების გადასახადის სპეციფიკაციიდან გამომდინარე, იგი ხარჯად აღიარდება მიმდინარე საანგარიშგებო წლის 1 აპრილს, გადასახადის თანხა გამოანგარიშებულია მიმდინარე წლის 1 აპრილის მდგომარეობით საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის შესაბამისად და წარმოადგენს მიმდინარე საანგარიშგებო წლის წინა საანგარიშგებლო წლის ქონების გადასახადს. ბიუჯეტის წინაშე ანგარიშსწორება ხორციელდება საანგარიშგებო წლის 15 ნოემბერს (სსკ-ს 203-ე მუხლის შესაბამისად „მიწაზე ქონების გადასახადის გადამხდელია პირი საგადასახადო წლის 1 აპრილის მდგომარეობით“; სსკ-ს 205-ე მუხლის 7 ნაწილის შესაბამისად საწარმო/ორგანიზაცია მიწაზე ქონების გადასახადს იხდის არა უგვიანეს კალენდარული წლის 15 ნოემბრისა).

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია 8-31 გვერდზე

## იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

## დივიდენდი

კომპანიაში დივიდენდის გამოცხადების შემდეგ ხდება კაპიტალის შემცირება და იგი აღიარდება როგორც ვალდებულება დამფუძნებელთა წინაშე, კომპანიაში წილობრივი მონაწილეობის პროპორციულად. ნებისმიერი დივიდენდი გამოცხადებული და გაცემული საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

## 7. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ხელმძღვანელობა ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ახორციელებს გარკვეული სახის შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო საანგარიშგებო წელს. შეფასებები და დაშვებები ეფუძნება ხელმძღვანელობის წარსულ გამოცდილებას და კვალიფიკაციას. ქვემოთ მოყვანილია ის მნიშვნელოვანი დაშვებები და შეფასებები, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მომდევნო წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

### ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის გადაწყვეტილების საფუძველზე, რაც ემყარება წარსულში არსებულ გამოცდილებას და მსგავსი ფუნქციონალური დანიშნულების მქონე აქტივის გამოყენებას, ასევე იმ გარემო ფაქტორებს სადაც მდებარეობს და გამოიყენება ესა თუ ის ძირითადი საშუალება ან არამატერიალური აქტივი. ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალური სიზუსტით შეაფასოს ზემოთ აღნიშნული გარემოებები და სასარგებლო მომსახურების ვადა, თუმცა არსებობს დაშვება იმისა, რომ შესაძლოა ის მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალურ მდგომარეობასა და შედეგებიდან, რაც თავისთავად გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ მონაცემებზე.

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია 8-31 გვერდზე

მომავალში უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, შესაძლებელია ხელმძღვანელობის მხრიდან მოხდეს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და ცვეთის დარიცხვის ცვლილება, რაც თავისთავად აისახება და მომდევნო საანგარიშგებო წლების ფინანსურ ანგარიშგებაში.

### საინვესტიციო ქონების ღირებულება

კომპანიამ 2016 წლის ივლისის თვეში (დამფუძნებლებისა და ხელმძღვანელობის ცვლილებების პერიოდი) შეაფასა რა საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საბალანსო ღირებულება, რომელიც ფიქსირდებოდა საბუღალტრო ჩანაწერებში, მიიღო გადაწყვეტილება, უძრავი ქონების ღირებულება განსაზღვრულიყო „რეალური ღირებულებით“ და ბალანსზე აღრიცხულიყო რეალური ღირებულებით. აღნიშნული პერიოდის შემდგომ, ყოველწლიურად ხდება უძრავი ქონების რეალური ღირებულების განსაზღვრა. 2018 წლის 12 ოქტომბერს გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე უძრავ ქონებას შეეცვალა კლასიფიკაცია და განისაზღვრა როგორც „საინვესტიციო ქონება“. ამ თარიღის შემდეგ შეწყდა უძრავ ქონებაზე ცვეთის დარიცხვა და საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების დასადგენად მოწვეული იქნა გარე უძრავი ქონების სერტიფიცირებული შემფასებელი.

### უიმედო ვალების რეზერვი

სავაჭრო დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვის არსებობა კომპანიაში დამოკიდებულია ხელმძღვანელობის მხრიდან იმის შეფასებაზე, თუ რამდენად არის შესაძლებელი კლიენტებისაგან თანხების ამოღება. ხელმძღვანელობის შეფასებისას გაითვალისწინება წარსული გამოცდილება, დავალიანების წარმოშობის ვადები და კლიენტთა სანდოობა.

### ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში

საქართველოში მოქმედი საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად განიცდის ცვლილებას, ასევე მისი თითოეული მუხლის იძლევა ინტერპრეტაციის საშუალებას. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ორგანოების მიდგომები საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ საკითხებზე შესაძლოა განსხვავდებოდეს კომპანიის ხელმძღვანელობის მიდგომებისგან, რაც არ გამოიწვევს საგადასახადო ორგანოთა მხრიდან გარკვეული საკითხებზე დამატებით ჯარიმებისა და საურავების დარიცხვას.

მოქმედი საგადასახადო კოდექსით საგადასახადო ორგანოს მხრიდან კომპანიის შემოწმების ხანდაზმულობის ვადაა 3 (სამი) წელი.

დასრულებული საანგარიშგებო წლის (31.12.2019) მდგომარეობით ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მის მიერ საგადასახადო ორგანოში წარდგენილი ინფორმაცია (დეკლარაციები, შესყიდვისა

*ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას განმარტებით  
შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ  
ნაწილს და მოცემულია 8-31 გვერდზე*

და გაყიდვის საბუთები და ა.შ) სრულად შეესაბამება საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ ნორმებს და საგადასახადო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები უცვლელი დარჩება.

## 8. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

|                                 | 2019           | 2018           |
|---------------------------------|----------------|----------------|
| ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში     | 8,414          | 118,084        |
| ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში | 214,287        | 10,145         |
| უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში  | -              | 133,830        |
| <b>სულ</b>                      | <b>222,701</b> | <b>262,059</b> |

## 9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი სავაჭრო მოთხოვნები

|                           | 2019           | 2018           |
|---------------------------|----------------|----------------|
| სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო | 642,009        | 8,698          |
| გადახდილი ავანსები        | 48,329         | 534,711        |
| <b>სულ</b>                | <b>690,338</b> | <b>543,409</b> |

მიმდინარე პერიოდში კომპანიის მხრიდან არ მომხდარა სავაჭრო მოთხოვნების ზარალის აღიარება.

## 10. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

|            | 2019          | 2018     |
|------------|---------------|----------|
| საქონელი   | -             | -        |
| სხვა სმფ   | 14,888        | -        |
| <b>სულ</b> | <b>14,888</b> | <b>-</b> |

მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 7,693,598 ლარი (2018 წელს 8,945,606 ლარი). მიმდინარე პერიოდში მარაგების გაუფასურების ზარალის აღიარება არ მომხდარა.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ნაშთი, ვინაიდან შეიცვალა პროფილი და ერთმნიშვნელოვნად გადავიდა საბითუმო პირობით მიწოდებაზე.

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია 8-31 გვერდზე

## 11. საგადასახადო აქტივები

|                                           | 2019         | 2018         |
|-------------------------------------------|--------------|--------------|
| ხაზინის ერთიან კოდზე არსებული ზედმეტობა   | 813          | 570          |
| ქონების გადასახადის მიმდინარე გადასახდელი | 1,889        | 1,387        |
| მიღებულ ავანსზე გადახდილი დღგ             | 1            | 1            |
| <b>სულ</b>                                | <b>2,703</b> | <b>1,958</b> |

2018 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის პერიოდში საგადასახადო ორგანოში კომპანიას წარდგენილი ქონდა მოგების გადასახადის ყოველთვიური დაზუსტებული დეკლარაცია, რომელის დაზუსტება ანგარიშგების წარდგენამდე არ მომხდარა. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში 2018 წლის საგადასახადო აქტივი დაფიქსირებულია 257 ლარით ნაკლები. თანხის არაარსებითობიდან გამომდინარე ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება ეს საკითხი ჩასწორებულიყო 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში და არ მომხდარიყო 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კორექტირება.

## 12. არამატერიალური აქტივები

|                            | პროგრამული უზრუნველყოფა | სულ    |
|----------------------------|-------------------------|--------|
| 31 დეკემბერი 2017          | 519                     | 519    |
| შემოსვლა                   | -                       | -      |
| გასვლა                     | -                       | -      |
| 31 დეკემბერი 2018          | 519                     | 519    |
| შემოსვლა                   | -                       | -      |
| გასვლა                     | -                       | -      |
| 31 დეკემბერი 2019          | 519                     | 519    |
| ამორტიზაცია და გაუფასურება |                         |        |
| 31 დეკემბერი 2017          | (39)                    | (39)   |
| პერიოდის ამორტიზაცია       | (52)                    | (52)   |
| გაუფასურება                | -                       | -      |
| გასვლა                     | -                       | -      |
| 31 დეკემბერი 2018          | ( 91)                   | ( 91)  |
| პერიოდის ამორტიზაცია       | (52)                    | (52)   |
| გაუფასურება                | -                       | -      |
| გასვლა                     | -                       | -      |
| 31 დეკემბერი 2019          | ( 143)                  | ( 143) |

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია 8-31 გვერდზე

**საბალანსო ღირებულება**

|                   |     |     |
|-------------------|-----|-----|
| 31 დეკემბერი 2017 | 480 | 480 |
| 31 დეკემბერი 2018 | 428 | 428 |
| 31 დეკემბერი 2018 | 376 | 376 |

**13. საინვესტიციო ქონება**

|                   | მიწა      | შენობა-ნაგებობა | სულ       |
|-------------------|-----------|-----------------|-----------|
| 31 დეკემბერი 2017 | 450,000   | 59,141          | 509,141   |
| შემოსვლა          | -         | -               | -         |
| გასვლა            | -         | -               | -         |
| აფასება           | 75,000    | 26,751          | 101,751   |
| გაუფასურება       | -         | -               | -         |
| 31 დეკემბერი 2018 | 525,000   | 85,892          | 610,892   |
| შემოსვლა          | 341,000   | -               | 341,000   |
| გასვლა            | -         | -               | -         |
| აფასება           | 337,900   | 3,043           | 340,943   |
| გაუფასურება       | 75,000    | -               | 75,000    |
| 31 დეკემბერი 2019 | 1,128,900 | 88,935          | 1,217,835 |

**დაგროვილი ცვეთა**

|                   |   |        |        |
|-------------------|---|--------|--------|
| 31 დეკემბერი 2017 | - | (3180) | (3180) |
| ცვეთის ხარჯი      | - | (-)    | (-)    |
| 31 დეკემბერი 2018 | - | (-)    | (-)    |
| ცვეთის ხარჯი      | - | (-)    | (-)    |
| 31 დეკემბერი 2019 | - | (-)    | (-)    |

**საბალანსო ღირებულება**

|                   |           |        |           |
|-------------------|-----------|--------|-----------|
| 31 დეკემბერი 2017 | 450,000   | 55,961 | 505,961   |
| 31 დეკემბერი 2018 | 525,000   | 85,892 | 610,892   |
| 31 დეკემბერი 2019 | 1,128,900 | 88,935 | 1,217,835 |

2018 წლის წლის ოქტომბრის თვეში საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობები გაიცა იჯარით, რის შემდეგაც შეეცვალა კლასიფიკაცია და დაკლასიფიცირდა, როგორც „საინვესტიციო ქონება“, აღნიშნული პერიოდიდან შეწყდა ცვეთის დარიცხვა.

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია 8-31 გვერდზე

2019 წლის 18 და 27 დეკემბერს სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსგან შევიძინეთ სახელმწიფოს მიერ აუქციონზე გამოტანილი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელიც მდებარეობს ქალაქი მცხეთა, დაბა ზაჰესის ტერიტორიაზე, შეძენილი მიწის ფართობია ჯამში 2263 კვ.მ.

საინვესტიციო ქონება რეალური ღირებულებით ფასდება ყოველი წლის 31 დეკემბერს, დამოუკიდებელი სერტიფიცირებული შემფასებლის მიერ.

გადაფასების თარიღია 31.12.2019 წელი. გადაფასების მეთოდია საბაზრო მიდგომა - ანალოგი კოტირებული აქტივების შედარების მეთოდი.

2019, 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საინვესტიციო ქონება წარმოადგენდა კომპანიის მიერ აღებული ბიზნეს სესხის უზრუნველყოფას.

#### 14. ძირითადი საშუალებები

|                   | დაუმთავრებელი<br>მშენებლობა | ოფისის<br>აღჭურვილობა | ავეჯი და<br>სხვა ინვენტარი | სულ    |
|-------------------|-----------------------------|-----------------------|----------------------------|--------|
| 31 დეკემბერი 2017 | -                           | 3,916                 | 30,613                     | 34,529 |
| შემოსვლა          | 10,663                      | -                     | 47,402                     | 58,065 |
| გადაფასება        | -                           | -                     | -                          | -      |
| გასვლა            | -                           | -                     | -                          | -      |
| 31 დეკემბერი 2018 | 10,663                      | 3,916                 | 78,015                     | 92,594 |
| შემოსვლა          | -                           | 2,991                 | 592                        | 3,583  |
| გადაფასება        | -                           | -                     | -                          | -      |
| გასვლა            | -                           | -                     | -                          | -      |
| 31 დეკემბერი 2019 | 10,663                      | 6,907                 | 78,607                     | 96,177 |

#### ცვეთა და გაუფასურება

|                   |   |         |          |          |
|-------------------|---|---------|----------|----------|
| 31 დეკემბერი 2017 | - | (873)   | (4,519)  | (5,392)  |
| 2018 წლის ცვეთა   | - | (771)   | (7,569)  | (8,340)  |
| გასვლა            | - | -       | -        | -        |
| 31 დეკემბერი 2018 | - | (1,644) | (12,088) | (13,732) |
| 2019 წლის ცვეთა   | - | (859)   | (9,567)  | (10,426) |
| გასვლა            | - | -       | -        | -        |
| დეკემბერი 2019    | - | (2,503) | (21,655) | (24,158) |

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია 8-31 გვერდზე

**წმინდა საბალანსო ღირებულება**

|                   |        |       |        |        |
|-------------------|--------|-------|--------|--------|
| 31 დეკემბერი 2017 | -      | 3,043 | 26,094 | 29,137 |
| 31 დეკემბერი 2018 | 10,663 | 2,272 | 65,927 | 78,862 |
| 31 დეკემბერი 2019 | 10,663 | 4,404 | 56,952 | 72,019 |

კომპანია ძირითად საშუალებებზე იყენებს თვითღირებულების მოდელს, ცვეთის მეთოდია წრფივი.

**15. სესხები****გრძელვადიანი სესხი**

|               | 2019           | 2018           |
|---------------|----------------|----------------|
| საბანკო სესხი | 515,687        | 275,536        |
| <b>სულ</b>    | <b>515,687</b> | <b>275,536</b> |

**მოკლევადიანი სესხი**

|                                      | 2019           | 2018           |
|--------------------------------------|----------------|----------------|
| საბანკო ოვერდრაფტი                   | 500,000        | 535,320        |
| გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი | 210,195        | 114,464        |
| <b>სულ</b>                           | <b>710,195</b> | <b>649,784</b> |

კომპანიას ს.ს. „თიბისი ბანკი“-დან აღებული აქვს რამდენიმე რძელვადიანი სესხი. პირველი გრძელვადიანი სესხის აღება კომპანიის მხრიდან მოხდა 2018 წლის 25 დეკემბერს (ხელშეკრულება № 3912378-10293627), დაფარვის ვადაა 2021 წლის 25 დეკემბერი. საპროცენტო განაკვეთი სესხის აღების მომენტში შეადგენდა წლიურ 13%-ს, ბანკთან მოლაპარაკების შედეგად სესხის პროცენტი შემცირდა და შეადგენს 10.5%-ს. მეორე გრძელვადიანი სესხი (ხელშეკრულება №3912378-10784747) აღებული იქნა 2019 წლის 16 დეკემბერს, დაფარვის ვადაა 2024 წლის 24 დეკემბერი, წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 10%-ს. მესამე გრძელვადიანი სესხი აღებულია 2019 წლის 30 დეკემბერს (ხელშეკრულება №3912378-10810674), დაფარვის თარიღია 2023 წლის 25 დეკემბერი, წლიური საპროცენტო განაკვეთია 10%. გრძელვადიანი საბანკო სესხი უზრუნველყოფილია საწარმოს საკუთრებაში არსებული საინვესტიციო ქონებით.

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია 8-31 გვერდზე

საბანკო ოვერდრაფტი წარმოადგენს ერთი თვის ვადით გაცემულ „საბრუნავი სახსრების პერმანენტული დაფინანსებ“-ის სესხს, რომელიც ერთი თვის განმავლობაში დაწესებული გრაფიკის შესაბამისად თანაბარ ნაწილად იფარება. სესხის თანხას შეადგენს 500,000 ლარს, რომლის საპროცენტო განაკვეთია ყოველთვიური 0,89%.

სესხს ახლავს პირობა, რომ ბანკს შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ განახორციელოს სესხის სრულად ან ნაწილობრივ დაფარვა მსესხებლის საბანკო ანგარიშებზე არსებული თანხებით.

## 16. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

|                                          | 2019         | 2018         |
|------------------------------------------|--------------|--------------|
| სავაჭრო ვალდებულება                      | 1,129        | 3            |
| მიღებული ავანსები                        | -            | -            |
| გადასახდელი ხელფასები                    | 3,000        | 3900         |
| ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე | -            | -            |
| <b>სულ</b>                               | <b>4,129</b> | <b>3,903</b> |

## 17. საგადასახადო ვალდებულებები

|                               | 2019         | 2018         |
|-------------------------------|--------------|--------------|
| საშემოსავლო გადასახადი        | 750          | 975          |
| დღგ                           | 3,355        | 3,135        |
| ქონების გადასახადი            | 1,697        | 1,889        |
| სხვა საგადასახადო ვალდებულება | -            | 50           |
| <b>სულ</b>                    | <b>5,802</b> | <b>6,049</b> |

## 18. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია 4000 ლარით, რომელიც შევსებულია საწესდებო კაპიტალში შეტანილი უძრავი ქონებით. ქონებით საწესდებო კაპიტალის შევსება განხორციელდა 1997 წლის მარტის თვეში, მას შემდეგ საწესდებო კაპიტალის ზრდა ან შემცირება კომპანიის მხრიდან არ მომხდარა.

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია 8-31 გვერდზე

## 19. ამონაგები

|                  | 2019             | 2018             |
|------------------|------------------|------------------|
| საქონლის გაყიდვა | 7,782,719        | 9,309,016        |
| <b>სულ</b>       | <b>7,782,719</b> | <b>9,309,016</b> |

## 20. სხვა შემოსავლები

|                      | 2019           | 2018          |
|----------------------|----------------|---------------|
| საიჯარო შემოსავალი   | 211,776        | 47,176        |
| არასაოპერაციო მოგება | 6,633          | 533           |
| <b>სულ</b>           | <b>218,409</b> | <b>47,709</b> |

## 21. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

|                             | 2019               | 2018               |
|-----------------------------|--------------------|--------------------|
| გაყიდული/შემძენილი საქონელი | (7.963,598)        | (8,984,606)        |
| <b>სულ</b>                  | <b>(7.963,598)</b> | <b>(8,984,606)</b> |

რეალიზებული საქონლის თვითღირებულების დათვლისას გამოყენებულია საშუალო შეწონილი მეთოდი.

**22. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი**

|                                      | 2019          | 2018           |
|--------------------------------------|---------------|----------------|
| შრომის ანაზღაურება                   | 7,500         | 97,750         |
| საბუღალტრო მომსახურების ხარჯი        | 7,500         | 15,225         |
| კომუნიკაციის ხარჯი                   | 10,906        | 7,112          |
| ქონების გადასახადის ხარჯი            | 2,057         | 2,196          |
| ცვეთა და ამორტიზაცია                 | 10,478        | 10,828         |
| დაზღვევის ხარჯი                      | 358           | 511            |
| დაცვის მომსახურების ხარჯი            | 1,373         | 1,373          |
| ბანკის მომსახურების ხარჯი            | 2,200         | 22,276         |
| რემონტის და ეზოს კეთილმოწყობის ხარჯი | 15,920        | -              |
| იჯარის ხარჯი                         | 847           | -              |
| სხვა ადმინისტრაციული ხარჯი           | 419           | 43,529         |
| <b>სულ</b>                           | <b>59,558</b> | <b>200,800</b> |

**23. ფინანსური ხარჯი**

|                  | 2019          | 2018          |
|------------------|---------------|---------------|
| საპროცენტო ხარჯი | 73,520        | 39,171        |
| <b>სულ</b>       | <b>73,520</b> | <b>39,171</b> |

**24. მოგების გადასახადის ხარჯი**

|                           | 2019 | 2018          |
|---------------------------|------|---------------|
| მოგების გადასახადის ხარჯი | -    | 41,795        |
| <b>სულ</b>                |      | <b>41,795</b> |

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას განმარტებით  
შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ  
ნაწილს და მოცემულია 8-31 გვერდზე

## 25. სხვა არასაოპერაციო ხარჯი

|                                         | 2019          | 2018          |
|-----------------------------------------|---------------|---------------|
| ვალუტის კურსის ცლილებით მიღებული ზარალი | 10,231        | 7,122         |
| სხვა არასაოპერაციო ზარალი               | 7,460         | 19,139        |
| <b>სულ</b>                              | <b>17,691</b> | <b>26,262</b> |

## 26. დირექტორსა და თანამშრომლებზე გაცემული ხელფასი

|                             | 2019  | 2018          |
|-----------------------------|-------|---------------|
| შრომის ანაზღაურება მთლიანად | 7,500 | 97,750        |
| <b>სულ</b>                  |       | <b>97,750</b> |

## 27. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

კომპანიაში საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ შეიცვალა დირექტორი და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების მომენტისათვის დირექტორად წარმოდგენილია ომარ ჩიტია (პ/ნ 01001084325).

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიის მიერ მოხდა სესხის აღება 3,207,822.ლარის იდენობით (მათ შორის 500,000 აშშ დოლარი და 1,678,432 ლარი), სესხის დაფარვა 1,833,270 ლარის ოდენობით.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიის მხრიდან მოხდა უძრავი-მოძრავი ქონების შეძენა, რომელიც წარმოადგენს ფუნქციონალურად გამართულ ავტოგასამართ სადგურს. შეძენილი ქონება კომპანიის მხრიდან შეტანილი იქნა შვილობილი კომპანიის საწესდებო კაპიტალში, რომელიც დაფუძნდა 2020 წლის 23 ივლისს პარტნიორ ფიზიკურ პირთან ერთად. შვილობილ კომპანიაში შპს „ქართლი“-ს წილი წარმოდგენილია 85%-იანი წილით.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე 2020 წლის 22 სექტემბერს სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე მოხდა დამფუძნებელი ზურაბ ყიფშიძის 20%-

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია 8-31 გვერდზე

იანი წილის ცვლილება მის კანონიერ მემკვიდრეზე, აღნიშნული პერიოდიდან კომპანიის დამფუძნებლები წარმოდგენილი არიან შემდეგი სახით:

- ნინო ებრალიძე -20%;
- გიორგი კელეპტრიშვილი- 20%;
- ომარ ჩიტია - 20%;
- დავით მამუჩიშვილი -40%;